გამოვიდა პროფ. ნიკო ჩიხლაძის ახალი წიგნი

ქუთაისის უნივერსიტეტმა გამოსცა სრული პროფესორის, **ნიკოლოზ ჩიხლაძის** ახალი ნაშრომი **"მებაჟის კონცეპტი წმინდა წერილში".** ნაშრომში წარმოდგენილია მეზვერის (მებაჟის) ძირითადი შტრიხები წმინდა წერილის მიხედვით. საკითხის სიღრმისეული გამიკვლევის მიზნით გამოყენებულია წმინდა მამათა გამონათქვამები, შეხედულებები და კომენტარები. ავტორს არ აქვს საკითხის სრულად წარმოჩენის პრეტენზია. იგი იხილავს რამდენიმე საკვანძო საკითხს წმინდა წერილიდან (მათე მახარებლის მოღვაწეობა, მეზვერე ზაქე, ფარისევლისა და მეზვერის იგავი), რაც უკეთ წარმოაჩენს მებაჟის, როგორც ფისკალური მოხელის სახეს, სულიერ მისწრაფებებსა და სინანულისადმი მზაობას.

ნაშრომი შესრულებულია ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო-ანალიტიკურ ცენტრში.

რედაქტორები: დეკანოზი **ექვთიმე (წულუკიძე)** და ქუთაისის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი **კახა გაბელაშვილი.** რეცენზენტები: დეკანოზი **ლუკა (წითური)** და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი **აკაკი ბაკურაძე.**